ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა #28/გ
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ. მცხეთა 28 მარტი 2019წ.

ერთის მხრივ, ააიპ მცხეთის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის სამსახური (შემდგომში – „შემსყიდველი"), წარმოდგენილი მისი დირექტორის ნოდარ კაპანაძის სახით, და მეორეს მხრივ, შპს ელექტრონი, წარმოდგენილი დირექტორის ზაზა ერაძის სახით (შემდგომში – „შემსრულებელი"),სახელმწიფო შესყიდვების კანონის საფუძველზე, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით აფორმებენ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1.წინამდებარე ხელშეკრულების შესაბამისად, „შემსრულებელი" კისრულობს ვალდებულებას, უზრუნველყოს შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად ელ.მექანიკური მომსახურებები (CPV კლასიფიკატორის კოდი 71334000), ხოლო „დამკვეთი" კისრულობს ვალდებულებას აანაზღაუროს გაწეული მომსახურების ღირებულება სრულად.

1.2 საქონლის მიწოდება/მომსახურება განხორციელდება ხელშეკრულების გაფორმებიდან 2019 წლის 30 მარტამდე.

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1. ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს 235,85 (ორას ოცდათხუთმეტი ლარი 85 თეთრი) ლარს.

2.2. გასაწევი ელ.მექანიკური მომსახურების საერთო ღირებულება შეიცავს „შემსრულებლის" ყველა ხარჯს, მათ შორის საქონლის და მომსახურების ღირებულებას, აგრეთვე კანონმდებლობით დადგენილ ყველა გადასახადს, სახდელს, მოსაკრებელს, ბაჟს, მათ შორის დღგ–ს.

3. ანგარიშსწორება

3.1. მხარეთა შორის ანგარიშსწორება წარმოებს ეროვნულ ვალუტაში, ნაღდი ანგარიშსწორების წესით, მომსახურების გაწევიდან არაუგვიანეს 10(ათი) კალენდარული დღისა, მხარეთა შორის გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების და „შემსრულებლის" მიერ მიწოდებული საგადასახადო ანგარიშ–ფაქტურის საფუძველზე.

4. მხარეთა უფლება – მოვალეობანი

4.1. „შემსრულებელი" იღებს ვალდებულებას უზრუნველყოს „შემსყიდველისთვის" ელ.მექანიკური მომსახურებები 2019 წლის 30 აპრილამდე.

4.2. „შემსყიდველი ვალდებულებას გადაუხადოს „შემსრულებელს"გაწეული მომსახურების სრული ღირებულება, წინამდებარე ხელშეკრულების მე–3–ე მუხლით დადგენილი პირობებით და ვადაში.

5. მიღება–ჩაბარების წესი

5.1. ელ.მექანიკური მომსახურების მიღება დასტურდება საგადასახადო ანგარიშ–ფაქტურით. ასევე, ორივე მხარის უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ ხელმოწერილი მიღება–ჩაბარების აქტით, რომელიც ადასტურებს მომსახურების მიწოდების განხორციელებას.

6. ხელშეკრულების შეწყვეტა და მხარეთა პასუხისმგებლობა

6.1.ხელშეკრულების დამდები ერთ–ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მეორე მხარეს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობის მოქმედების შეწყვეტის შესახებ.

6.2.ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეებს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

6.3.თითოეული მხარე ვალდებულია აუნაზღაუროს მეორე მხარეს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობით ან არაჯეროვანი შესრულების შედეგად გამოწვეული ზიანი.

7. ფორს – მაჟორი

7.1. ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს–მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას.

7.2. ამ მუხლის მიზნებისათვის ,,ფორს–მაჟორი'' ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული მხარეების შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით ან

...ი მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი ...ებით და სხვა.

...ორს–მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც ...ძლებელი გახდა ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყონებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს ...რილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს 10 კალენდარული დღის ვადაში, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელნი იქნებიან ფორს–მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

8. სადავო საკითხების გადაწყვეტა

8.1.ხელშეკრულების დამდები მხარეები თანხმდებიან მასზედ, რომ ყველა ღონეს იხმარენ, რათა პირდაპირი, არაოფიციალური მოლაპარაკებების მეშვეობით, შეთანხმებით მოაგვარონ ნებისმიერი უთანხმოება და დავა წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული საკითხების ირგვლივ.

8.2. თუ, ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 15 (თხუთმეტი) კალენდარული დღის განმავლობაში მხარეები ვერ შეძლებენ სადავო საკითხების შეთანხმებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

9. სხვა პირობები

9.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2018 წლის 30 ივნისამდე.

9.2. ხელშეკრულებაში დამატებების და/ან ცვლილებების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით.

9.3. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, რომელთაგან თითო ეგზემპლარი ინახება მხარესთან.

10. მხარეთა რეკვიზიტები:

შემსყიდველი:

ააიპ მცხეთის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის სამსახური

ს/კოდი: 436254704

ქ.მცხეთა, დ. აღმაშენებლის ქუჩა N136

სახელმწიფო ხაზინა

ნოდარ კაპანაძე

დირექტორი

შემსრულებელი:

შპს ელექტრონი

ს/კოდი: 208218132

ქ.თბილისი, მტკვრის მარცხენა სანაპირო დ.ტ. ნავთლუღი 10/39 მაღაზია #1

ბანკი: საქართველოს ბანკი

BAGAGE22

ა/ა GE45BG0000000222023300

28 მარტი 2019წ.

ეთა

ხელწერილი ინტერესთა კონფლიქტის შესახებ

ვადასტურებ, რომ ააიპ მცხეთის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის სამსახურსა და შპს ელექტრონს შორის 2019 წლის 28 მარტს გამართივებული შესყიდვის საშუალებით გაფორმებული N 28 /გ ხელშეკრულებით ჩემი მონაწილეობა არ ეწინააღმდეგება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის I თავის მე-8 მუხლით გათვალისწინებულ პირობებს.

ააიპ მცხეთის მუნიციპალიტეტის

კეთილმოწყობის სამსახურის დირექტორი ნ.კაპანაძე

436254704

ააიპ მცხეთის მუნიციპალიტეტის

კეთილმოწყობის სამსახურის

გამწვანების უბნის ბრიგადირი: დ.თათარაშვილი

The improvements service of Mtskheta Municipality

Digitally signed by The improvements service of Mtskheta Municipality
Date: 2019.03.29 15:42:08 +04'00'